

აგრარული რადიოლოგიისა და ეკოლოგიის ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

ეკატერინე გახოკიძე

ავტორის მიმდებარე სავარგულების გამოკვლევის შედეგები და
ამოცანები

სპეციალობა: 06.01.01 - მიწათმოქმედება

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის
მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ს.მ. მეცნიერებათა დოქტორი,
სმმა-ის აკადემიის აკადემიკოსი,
პროფესორი ზაურ ჩანქსელიანი

ს.მ. მეცნიერებათა კანდიდატი
ედუარდ ეპიტოვი

თბილისი

2006

შინაარსი

შესავალი .

თავი 1. გარემო და რადიოეკოლოგიური პრობლემები .

1.1 რადიაციული ეკოლოგიის პრობლემები .

1.2 გარემოს ანთროპოგენური დაბინძურება.

1.3 გარემოს დაბინძურება მძიმე ლითონებით .

1.4 მცხეთის რაიონის ნიადაგურ – კლიმატური
პრობლემების დახასიათება .

მცხეთის რაიონის რუქა .

თავი 2. მცხეთის რაიონის ცენტრალურ და შიდა
გზებზე ავტოტრანსპორტის ინტენსივობა .

თავი 3. მცხეთის რაიონის ეკოლოგიური ჯაჭვის
სხვადასხვა რგოლში მძიმე
ლითონების შემცველობა .

3.1 ავტოტრანსპორტით გამოწვეული მძიმე
ლითონების დაგროვება სასოფლო – სამეურნეო
სავარგულებზე .

3.2 მძიმე ლითონების შემცველობა სასოფლო-
სამეურნეო პროდუქტებში და მათ
ორგანოებში .

3.3 ცენტრალური ავტომაგისტრალის მოსაზღვრე
ფართობებზე ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვის
გავლენა პროდუქციაში ქიმიურ და მორფოლოგიურ
მაჩვენებლებზე .

თავი 4. მცხეთის რაიონის ეკოლოგიური ჯაჭვის
სხვადასხვა რგოლში

რადიონუკლიდების შემცველობა .

4.1 რადიონუკლიდების შემცველობა ნიადაგში .

4.2 რადიონუკლიდების შემცველობა მცენარეში .

4.3 რადიონუკლიდების შემცველობა სარწყავ

წყლებში .

დასკვნები .

რეკომენდაციები .

დანართი .

გამოყენებული ლიტერატურა .

შესავალი

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე გარემოს დაცვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. საკითხის აქტუალობა უპირველეს ყოვლისა იმით არის გამოწვეული, რომ თანამედროვე ადამიანი თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ფართოდ იყენებს ატომური ფიზიკის, ქიმიის და სხვა საბუნების-მეტყველო მეცნიერებების მიღწევებს.

საქართველოს ბევრი სიმდიდრე გააჩნია, ეს არის ჩვენი მცირე, მაგრამ უნიკალური წიაღისეული: წყლები და ტყეები, დასას-ვენებელი და სამკურნალო კომპლექსები, მაგრამ საქართველო მაინც აგრარული ქვეყანაა და ჩვენი მცირემიწიანობის მიუხედავად შესაძლებლობა გვაქვს ვაწარმოოთ მაღალი ხარისხის სხვადასხვა სასოფ-ლო-სამეურნეო პროდუქტები, როგორც შიდა მოხმარებისათვის, ისე უცხო ქვეყნებში გასატანად. ეხლა, როდესაც მთელს პლანეტაზე საგანგაშო ეკოლოგიური მდგომარეობაა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება არ შეესაბამება ეკოლოგიურ და ეკონომიკურ მოთხოვნებს. საკმარისია აღინიშნოს, რომ ავტოტრანსპორტის განვითარებამ, მისი რაოდენობის უზომოდ გაზრდამ და ინდუსტრიის განვითარების შედეგად ატმოსფეროში, ნიადაგში და წყალში არსებული მიკროელემენტების (ტყვია, კადმიუმი, სპილენძი, თუთია და სხვა) საერთო შემცველობა ათეული და ასეული ათასი ტონობით განისაზღვრება, რომელთა საერთო ტოქსიკურობა მნიშვნელოვნად აღემატება იმ რადიოაქტიური და ორგანული გაჭუჭყიანების ჯამურ ტოქსიკურობას, რომლებიც თავის მხრივ საშიში ინტენსიურობით იზრდებიან. ამასთან ატმოსფეროში მიკრომტვრისა და აეროზოლების სახით გვხვდება პოლიციკლური კარცენოგენური ნახშირწყალბა-დები, რომლებიც წარმოიქმნება ორგანული ნაერთების არასწორი წვის შედეგად.

ცდებით დადგენილია, რომ ბუნებრივ არეალებში დაგროვილი ტოქსიკური ელემენტების აქტიური ცირკულაცია გარდაუვალია და კვების საერთო ჯაჭვში ქმნიან სერიოზულ საფრთხეს, როგორც თანამედროვე ადამიანის, ასევე მომავალი თაობის ჯანმრთელობისათვის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღებით მოვეკიდოთ

ავტოტრანსპორტის შედეგად გამოწვეულ უარყოფით ეკოლოგიურ მდგომარეობას, ვინაიდან ჩვენი ქვეყანა უახლოეს მომავალში სატრანზიტო დანიშნულების რეგიონად არის გამოცხადებული. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ცენტრალური ავტომაგისტრალები სახნავ – სათეს ფართობებს უშუალოდ კვეთს, უნდა ველოდოთ, რომ ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო – სამეურნეო პროდუქციის მიღება შეუძლებელი იქნება რადიკალური ეკოლოგიური ღონისძიებების გატარების გარეშე.

კვლევის მიზანი. ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა შეგვესწავლა მცხეთის რაიონის ძირითადი ავტომაგისტრალების მიმდებარე ტერიტორიების აგროეკოლოგიური მდგომარეობა.

აღნიშნული საკითხის შესწავლის მიზნით ჩვენს მიერ 1998-2004 წლებში კვლევითი სამუშაოები ტარდებოდა შემდეგ საკითხებზე:

1. მცხეთის რაიონის ნიადაგურ–კლიმატური პირობების დახასიათება;
2. მცხეთის რაიონის ცენტრალური ავტომაგისტრალებისა და შიდა გზების მოცულობა და მათი სტრუქტურა;
3. ავტომაგისტრალებზე ტრანსპორტის მოძრაობის ინტენსიურობის აღრიცხვა სატრანსპორტო საშუალებების სახეობებისა და დროის მიხედვით;
4. გამონაბოლქვში ტოქსიკური ნივთიერებების გაანგარიშება ავტო-ტრანსპორტის სახეობების მიხედვით;
5. ავტომაგისტრალების მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული სასოფლო–სამეურნეო კულტურების სტრუქტურა და მათი ხვედ-რითი წილი მემცენარეობაში;
6. ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვით გამოწვეული მორფოლოგი-ური მაჩვენებლების ცვალებადობა კურკოვანი ხილის ნაყოფებში;
7. მცხეთის რაიონში ბუნებრივი გამოსხივების რადიაციული ფონის მონიტორინგი;
8. მძიმე ლითონების დაგროვების დინამიკა სოფლის მეურნეობის პროდუქციაში;
9. მძიმე ლითონების განაწილება ავტომაგისტრალების მიმდებარე ტერიტორიებზე ფართობების მიხედვით;
10. მცხეთის რაიონის აგროლანდშაფტების ეკოლოგიურ ჯაჭვში;

ნიადაგი–წყალი–მცენარე–პროდუქცია რადიონუკლიდების შემცვე-ლობის რაოდენობრივი და თვისობრივი დახასიათება;

კვლევის ობიექტი და მეთოდოლოგია. ტრანსპორტის მოძრაობის განუხრელმა ზრდამ, რაც გამოწვეულია საგზაო მაგისტრალის მნიშ-ვნელოვანი დატვირთვით, მთელი რიგი მავნე ნივთიერებების აკუმუ-ლირება მოახდინა ბიოსფეროში.

ავტოტრანსპორტის მოძრაობის დინამიკა დგინდებოდა როგორც ცენტრალურ, ისე შიდა გზებზე. აღრიცხვები ტარდებოდა წლების მიხედვით (1998_2000_2004წწ) სხვადასხვა დროს (გაზაფხული, ზაფ-ხული, შემოდგომა). აღრიცხვა ტარდებოდა დილის და საღამოს საა-თებში. თითოეულ ობიექტზე აღრიცხვა ტარდებოდა 1 საათის განმავლობაში და იანგარიშებოდა დღის და წლის მიხედვით. ავტოტრანსპორტი დაყოფილი იყო ტვირთამწეობის მიხედვით: მსუბუქი_საწვავის დანახარჯი 8 ლიტრი 100 კმ-ზე; მსუბუქი – საწვავის დანახარჯი 16 ლიტრი 100 კმ-ზე; დიდი_საწვავის დანახარჯი 25 ლიტრი 100 კმ-ზე; დიდი_საწვავის დანახარჯი 35 ლიტრი 100 კმ-ზე.

1998_2004 წლებში ჩატარდა ექსპედიცია სამ ძირითად ავტო-მაგისტრალზე: მარშრუტი I სოფელი გლდანი_ცხვარიჭამია_საგურამო; მარშრუტი II ნატახტარი_დუშეთის საზღვარი; მარშრუტი III თბილისი_ნატახტარი_ქსანი.

ზემოაღნიშნული მიმართულებით მოხდა: ნიადაგის, მცენარისა და წყლის ნიმუშების აღება ავტომაგისტრალის ორივე მხარეს, გზიდან: 5; 30; 60; 90 და 150 მეტრის მანძილზე. ნიმუშების რაოდენობა შეადგენდა 357-ს.

სასოფლო-სამეურნეო კულტურებში განისაზღვრა ქიმიური და მორფოლოგიური მაჩვენებლების რაოდენობა.

აღებულ ნიმუშებში (ნიადაგი, მცენარე, წყალი) განისაზღვრა რადიონუკლიდური შემადგენლობის სრული სპექტრი, რომლის დასადგენად გამოყენებული იქნა “CANBERRA” – ს ფირმის მრავალ-არხიანი α და γ სპექტრომეტრული ანალიზატორი პროგრამული უზრუნველყოფით “Genie - 2000”.

ნიადაგში მძიმე ლითონების განსაზღვრას ვაწარმოებდით ინსტიტუტის ბაზაზე არსებული “VRA-30” –ის ტიპის რენტგენო-ფლუოროსცენტულ ანალიზატორზე.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაში მძიმე ლითონების რაოდენობის დადგენა ჩატარდა ატომურ-აბსორბციული მეთოდით.

ავტომაგისტრალზე ნიადაგის რადიაციული ფონი იზომებოდა ზელსაწყო «CPII-08-01»-ით.

მიღებული ციფრობრივი მასალები დამუშავდა სტატისტიკური და რეგრესიული ანალიზის საშუალებით.

მეცნიერული სიახლე. ჩვენს მიერ, პირველად, მიზნობრივი ცდებით დადგენილი იქნა მცხეთის რაიონზე გამავალი ცენტრალური ავტომაგისტრალისა და შიდა გზების მოსაზღვრე სავარგულებზე ავტოტრანსპორტის სახეობების მიხედვით გამოწვეული ტოქსიკური ნივთიერებებით დაბინძურების სტრუქტურა, სასოფლო-სამეურნეო მცენარეებში და ნიადაგში დაგროვილი მძიმე ლითონებისა და რადიონუკლიდების დინამიკა.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. გამოკვლეული მასალებით დადგენილი იქნა რაიონის ძირითადი ავტომაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიების რადიაციული ფონი. მიღებული შედეგების საფუძველზე შემუშავებულია მიზნობრივი ტექნო-ლოგიები და ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქციის მიღების რეკომენდაციები. ასევე დადგენილი იქნა ავტოტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობა.

კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება ქვეყნის აგროეკოლოგიური რუქისა და აგრორეკომენდაციების შედგენისას.

პუბლიკაციები. დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებულია 12 შრომა, მათ შორის 4 თეზისი.

დისერტაციის მასალების აპრობაცია. დისერტაციის ძირითადი მასალები წარმოდგენილი და განხილული იყო: საქართველოს რადიო-ობიოლოგთა VII სამეცნიერო კონფერენციაზე, თბილისი 1999 წ.; III საერთაშორისო სიმპოზიუმზე «ზემცირე დოზების მოქმედების მექანიზმები», მოსკოვი 2002 წ.; რადიაციული გამოკვლევების V სხდომაზე, მოსკოვი 2006 წ.; აგრარული რადიოლოგიისა და ეკოლოგიის ინსტიტუტის გაფართოებულ სხდომაზე 2006 წლის 12 ივნისს.

დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა. დისერტაცია შედგება შესავლის, ოთხი თავის, დასკვნებისა და რეკომენდაციებისაგან. ნაშრომი წარმოდგენილია 119 ნაბეჭდ გვერდზე, ილუსტრირებულია 5 ნახაზით, შეიცავს 16 ცხრილს და 11

დანართს, ციტირებული ლიტერატურის სია შეიცავს 115 წყაროს.

თავი 1. გარემო და რადიოეკოლოგიური პრობლემები

1.1 რადიაციული ეკოლოგიის პრობლემები

ტექნოგენური დაბინძურების ძირითად კომპონენტებს, რომელთა მნიშვნელობა სწრაფად იზრდება, წარმოადგენენ ფიზიკური ბუნების ფაქტორები, მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესია მაიონიზებული გამოსხივება [1]. დღესდღეობით ატომური ენერგეტიკა ემყარება ატომურ ელექტროსადგურებს, რომლებიც გამოიყენებენ რადიოაქტიურ ქიმიურ ნივთიერებებს [2]. ატომური იარაღის გამოცდებმა, ატომურ ელექტრო-სადგურებზე მომხდარმა ავარიებმა გამოიწვიეს ბიოსფეროს დაბინძურება რადიონუკლიდებით [3]. ნივთიერებათა მიმოცვლის ციკლში მათი აქტიური ჩართვით რადიონუკლიდები გვევლინებიან, როგორც მცენარეულ საფარზე მოქმედი ძირითადი ანთროპოგენური ფაქტორები [4]. ბუნებრივ პირობებში ბიოცენოზების კომპონენტებზე მაიონიზებული გამოსხივების ზემოქმედების შესწავლა დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, კერძოდ ბუნებრივ და აგრარულ ეკოლოგიურ სისტემებზე ფიზიკურ ფაქტორთა ზემოქმედების შედეგები არსებითად განსაზღვრავენ ბიოლოგიური სისტემის იერარქიულ წყობას [5,6]. შესაძლებელია მათი ორგანიზაციის ხუთი დონის გამოყოფა: უჯრედული, სუბუჯრედული, ორგანიზმული, პოპულაციური და ბიოცენოზური [7,8]. თითოეულ დონეზე არსებობს ეგზოგენური სტრესიდან თავის დაღწევის საკუთარი, სპეციფიკური საშუალება (რეპარაცია, რეგენერაცია, რეპო-პულაცია, შემადგენლობის სახეობისა და ბიოცენოზის სტრუქტურის ცვლილება), ამის გამო ბიოლოგიური ორგანიზაციის მაღალ დონეებზე ზემოქმედება ბუნებრივად დაგვიანებით და შედარებით იოლ ფორმებში აისახება [9]. თუმცა არსებობს საწინააღმდეგო მაგალითები, როდესაც სისტემის ბიოლოგიური მექანიზმების ხარჯზე შედეგები მყისიერია [10]. თუნდაც ჩერნობილის ავარიის შემდგომ ტყის სწრაფი გადაქცევა ჟღალ ტყედ [11].

დედამიწის ბიოსფეროში სიცოცხლის გამოვლენის ყველაზე კომპლექსური და რთული დონე ბიოცენოზურია, რომელზეც მიმდინარეობს ორგანიზმთა სასიცოცხლო ევოლუცია[12]. ამ დონის ორგანიზაციის ელემენტალურ სტრუქტურას წარმოადგენს ბიო-გეოცენოზური-დედა-მიწის ზედაპირზე მიმდინარე ერთგვაროვან ბუნებრივ მოვლენათა ერთობლიობა, რომელთაც შემადგენელ ნაწილაკთა ურთიერთობებისა და განსაზღვრული ტიპის ნივთიერებათა ენერჯის ურთიერთცვლის განსაკუთრებული სპეციფიკა გააჩნიათ [13,14].

ბოლო წლებში რადიაციულ-ბიოგეოცენოლოგიური ანუ რადიოეკოლოგიური გამოკვლევების ზრდა განაპირობა ატომურ ობიექტებზე მომხდარმა ავარიებმა და ატომური იარაღის გამოცდის შედეგად რადი-ოაქტიური იზოტოპების გამოფრქვევამ, რომლებმაც გლობალურ მას-შტაბებს მიაღწია [15,16]. გამოფრქვევის შედეგად ბიოსფეროში არსე-ბული ნებისმიერი ორგანიზმის დასხივების დოზა გაიზარდა [17,18]. ასეთ კვლევათა მნიშვნელოვანი ნაწილი მიეძღვნა გარემოს ხელოვნური რადიოაქტიური დაბინძურებით გამოწვეულ კატაკლიზმებს, ძირითადი რადიონუკლიდების მიგრაციის კანონების დადგენას ბიოლოგიურ და საკვებ ჯაჭვებში [19], რის შედეგადაც რადიოაქტიური იზოტოპები საბოლოოდ ადამიანის ორგანიზმში აღმოჩნდება [20,21]. რადიოეკო-ლოგიური კვლევებიდან აღსანიშნავია იმ მეცნიერთა შრომები, რომ-ლებშიც ასახულია გარემოს ბიოლოგიური ობიექტებისა და ბუნებრივი თანასაზოგადოებების რადიაციული დაბინძურებების შედეგების შეფასებები [22,23].

რადიაციული ბიოგეოცენოზებისათვის დამახასიათებელია პრობ-ლემების კომპლექსური განხილვა რადიობიოლოგიასთან, ეკოლოგი-ასთან, რადიოქიმიასთან კონტაქტში [24]. დღესდღეობით რადიოეკო-ლოგია წარმოადგენს მეცნიერების დიფერენცირებულ ნაწილს, რომე-ლიც იკვლევს რადიონუკლიდების ქცევებს ბუნებრივ თანასა-ზოგადოებებში, ეკოლოგიური პირობების ფართო ვარირებისას [25,26]. სხვადასხვა ბუნებრივ ბიოგეოცენოზებში მაიონიზებული გამოს-ხივების ზემოქმედების კვლევა ცენოზურ დონეზე რადიაციული ბიო-გეოცენოლოგიის ანუ რადიოეკოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა [27,28].

აღიარებულია, რომ გლობალური რადიოაქტიული გაჭუჭყიანება და ბუნებრივი რადიაციული ფონის ზრდა წარმოადგენს თანამედროვე ბიო-სფეროში

უმნიშვნელოვანეს ნეგატიურ მოვლენას. სხვადასხვა ფაქტორ-თა ზემოქმედების შესწავლა ცოცხალ ორგანიზმებზე, რომლებიც ბუნებრივ პირობებში არსებობენ-ეკოლოგიის კვლევის საგანია [29]. ბიოსფეროდან ცალკეული სტრუქტურის-ბიოგეოცენოზის, როგორც ბიოლოგიური კონტინუმის დისკრეტული ნაწილის გამოყოფა, რომელზე მიმდინარეობ მსგავსი სპეციფიკური ფუნქციონირება, როგორც უჯრე-დულ ან ცალკეულ ორგანიზმთა დონეზეა, განისაზღვრა ბიოგეოცენო-ლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების ჩამოყალიბება. რადიოეკოლოგიის, როგორც მეცნიერების დამოუკიდებელი ნაწილის ძირითად ამოცანას წარმოადგენს მაიონიზებული გამოსხივების ზემოქმედების შესწავლა ბიოგეოცენოზებზე და აგრეთვე რადიაციის, როგორც ეკოლოგიური ფაქტორის შეფასება [30]. არის საფუძველი ვივა-რაუდოთ, რომ რადიოეკოლოგია მოიცავს გამოკვლევათა დიდ სპექტრს. იგი შედის იმ მეცნიერებათა კომპლექსში, რომლებიც შეისწავლიან მაიონიზებული რადიაციის გავლენას ბიოლოგიურ ობიექტებზე. რადიოეკოლოგია მეცნიერებაა, რომელიც პირველ რიგში იკვლევს მაიონიზებული გამოსხივების ზემოქმედებას ცალკეულ ორგანიზმებზე, პოპულაციებზე, თანასაზოგადოებებსა და ეკოსისტემებზე, შემდგომში კი-რადიოაქტიური იზოტოპების განაწილებას ეკოლოგიურ თანასაზოგადოებებსა და პოპულაციებში.

მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ატომური ენერჯის აღმოჩენამ გრანდიოზული პერსპექტივები გადაშალა მისი მშვიდობიანი გამოყენე-ბისათვის. სადღეისოდ ატომური ენერჯია სახალხო მეურნეობისათვის თითქმის ყველა დარგში გამოიყენება. მსოფლიოში ენერგეტიკული კრი-ზისი ქმნის ბირთვულ ენერჯიაზე გადასვლის აუცილებლობას.

მეცნიერები სწავლობენ რადიაციულ ჰიგიენას და მათი მიზანია შეამცირონ ადამიანზე და სხვა ცოცხალ ორგანიზმებზე, გარემო პირო-ბებზე, გამოსხივების მავნე ბიოლოგიური მოქმედება. კერძოდ შესწავ-ლილი უნდა იქნას რადიოაქტიური ნივთიერებების ბუნებაში გავრცე-ლება, მიგრაცია, მონაწილეობა ბიოლოგიურ ჯაჭვში, რომელთა მეშვე-ობითაც ხდება ადამიანის ორგანიზმზე რადიაციული გამოსხივებისა და სხვა სახის მაიონიზებული რადიაციის ზემოქმედება. უნდა შემუშავდეს და დაინერგოს გარემო ფაქტორებისა და სამუშაო ობიექტების რადიო-აქტიური დაბინძურებისაგან დამცველი

ლონისმიებები. სისტემატიური რადიომეტრიული და დოზიმეტრიული კონტროლი უნდა გაეწიოს გარე-მო ფაქტორებს: ჰაერი, წყალი, ნიადაგი, საკვები პროდუქტები და სხვა.

ატომურ ენერგიას ფართოდ იყენებენ სოფლის მეურნეობაშიც [31]. სასოფლო-სამეურნეო რადიოეკოლოგია წარმოადგენს აგროეკოლოგიის დარგს, რომელიც სწავლობს რადიონუკლიდების მიგრაციას აგროეკო-სისტემებში [32]. სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის ზრდა იწვევს ბუნებრივი რადიონუკლიდებით გამდიდრებული შემცველობის მქონე სასუქების გამოყენების ზრდას [33]. ეს გამოწვეულია იმით, რომ სამთო ნედლეულის ზოგიერთი სახე, რომლებიც გამოიყენება მინერალური სასუქების (პირველ რიგში ფოსფორიანი სასუქების) მიღებისას, გამ-დიდრებულია ^{238}U , ^{232}Th და მათი დაშლის შვილობილი პროდუქტებით [34,35]. სასუქებით მოხვედრილი რადიონუკლიდები დასაწყისში კონცენ-ტრირდებიან ნიადაგის ზედა 0-20 სმ ფენაში, ხოლო შემდეგ იწყებენ მიგრირებას პროფილის მიხედვით [36,37]. რადიონუკლიდების ვერტიკალური გადაადგილება მოუხნავ ნიადაგებში იწვევს ფესვების განლაგების შრეში რადიოაქტიური ნივთიერებების თანაფარდობით გადაადგილებას, მამასადამე მცენარეების ფესვთა სისტემებით შთან-თქმის შეცვლას და დასხივების დოზის სიმძლავრის შემცირებას [38,39]. ნიადაგებში რადიონუკლიდების დაგროვება და გადანაწილება ბევრად არის დამოკიდებული ნიადაგის ტიპზე, მის ცალკეულ თვისებებზე (ტენიანობა, ქიმიური და მექანიკური შედგენილობა) და მცენარეული საფარის მრავალფეროვნებაზე [40].

ატომური ენერგიის გამოყენებით სპობენ მავნებელ მწერებს, აჩქარებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდა-განვითარებას, აწარმოებენ სელექციას, გამოყავთ ახალი, გამძლე და უფრო პროდუქ-ტიული ჯიშები, ხორბლეულის დასხივებით ზრდიან მისი შენახვის ვადებს და სხვა.

დიდ დახმარებას გვიწევს ატომური ენერგია და საზოგადოდ მაიონიზებული გამოსხივება, კვების მრეწველობის სხვადასხვა ახალი ტექნოლოგიური პროცესის დანერგვაში: საკონსერვო პროდუქტების სტერილიზაცია, კონიაკისა და ღვინის დაძველება, საკვები პროდუქ-ტების – ხორცის, თევზის, ბოსტნეულის შენახვის ვადების გახან-გრძლივება, პარაზიტების მოსპობა ხორცის

პროდუქტებში და სხვა [41].

ზოგადად მეცნიერების ნებისმიერი დარგის განვითარება ძირითადად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ქმედითად შეუძლია ამ სამეცნიერო დისციპლინას დაეხმაროს პრაქტიკას და რამდენად წარმოადგენს იგი ბუნების კანონების ფუნდამენტური პროცესების აღქმის საშუალებას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ ამ დარგის ისეთი მიმართულებები, რომლებიც ერთის მხრივ გვაძლევს საშუალებას გავუწიოთ ღრმა ანალიზი გლობალურ მოვლენებს და მეორეს მხრივ, წინასწარი პროგნოზების შედეგების გზით მივცეთ კონკრეტული პრაქტიკული რეკომენდაციები. ამჟამად, როდესაც რადიაციულმა დაბინძურებამ მიიღო გლობალური ხასიათი, მოვლენების განვითარების პროგნოზირება პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს და განსაკუთრებით ეს დებულება მიმართულია ისეთი უნიკალური ბიოცენოზების მქონე ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა.

1.2 გარემოს ანთროპოგენური დაბინძურება

ხანგრძლივი და სისტემატიური ანთროპოგენური ზემოქმედება დიდ გავლენას ახდენს ნიადაგებში საკვები ელემენტებისა და წყალცვლის რეჟიმზე. ნიადაგის ათვისების დროს ადამიანს თავისი ზემოქმედებით არსებითი ცვლილებები შეაქვს გრანულომეტრიული ფრაქციების პრო-ფილურ განაწილებაში, კერძოდ აძლიერებს, როგორც ლექის ფრაქციის დაშლის პროცესს, ასევე მის დაუშლელ გადანაცვლებას პროფილის ქვედა ფენაში, ხოლო რიგ შემთხვევაში ხდება ლექის სახნავი ფენის გამდიდრება.

ანთროპოგენური დატვირთვის შედეგად ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის ცვლილების გამოსაკვლევად წარმოჩნდა სპეციალური ინფო-რმაციული სისტემის ორგანიზმების საკითხი. ესაა ბუნებრივი გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვებებისა და ანალიზის სისტემა, რომელიც პირველ რიგში ეყრდნობა ბიოსფეროს ანთროპოგენური დატვირთვის შედეგად გამოწვეულ დაბინძურებასა და ეფექტების მონაცემებს. ასეთი სისტემა შემოთავაზებული იყო იზრაელის მიერ 1974 წელს, რომელსაც ეწოდა «ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის მონიტორინგი» [42], უფრო ზუსტად კი «გარემო ბუნებრივი პირობების

ანთროპოგენური ცვლილებების მონიტორინგი».

მონიტორინგი განისაზღვრება, როგორც განმეორებული სისტემა დაკვირვებებისა ბუნებრივ გარემო პირობების ელემენტებზე დროში და სივრცეში განსაზღვრული მიზნით [43]. მონიტორინგის ძირითად ელემენტებად ჩათვლილია დაკვირვებების ზემოქმედების ფაქტორებსა და გარემო პირობების მდგომარეობაზე. მისი მომაველი მდგომარეობის პროგნოზირება და გარემო პირობების ფაქტიური მდგომარეობის შეფასება.

შედეგების შეფასების მიზნით, გარემოზე განსხვავებული ანთრო-პოგენური ზემოქმედების შესწავლის უნივერსალურ ინტრუმენტს წარმოადგენს მისი ყოველმხრივი ანალიზი. ისინი მიეკუთვნებიან ბიოს-ფეროზე სხვადასხვა ანთროპოგენური ზემოქმედების სისტემური ანალიზის მეთოდებს. ამ ანალიზის მთავარი მახასიათებელია ზემოქმედების ძირითადი მხარეების დეტალური განხილვა. თუ მას ორ ეტაპად დავყოფთ, შეიძლება ითქვას, რომ ყოველმხრივი ანალიზის პირველ ეტაპს წარმოადგენს გარემოზე სხვადასხვა ფაქტორით ზემოქმედების შესწავლის საკითხი, რომელიც შეიცავს ისეთი რგოლების გამოვლენით განსაზღვრული ბიოსფეროს ელემენტების რეაქციების ანალიზს, რომელთათვისაც ეს ზემოქმედება კრიტიკულია [44]. მეორე ტიპის ამოცანაა ბუნებრივ სისტემებზე დასაშვები ეკოლოგიური დატვირთვის დადგენა, ხოლო ყოველმხრივი ანალიზის მესამე ტიპს განეკუთვნება ეკონომიკური და სოციალური ასპექტების გათვალისწინებით ეკოსისტემებზე დასაშვები დატვირთვების გამოთვლა.

ცნობილია, რომ ბიოსფეროს ცვალებადობა დამოკიდებულია ბუნებრივ და ანთროპოგენურ ზემოქმედებაზე. ასეთ ზემოქმედებებს შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება. ბიოსფერო, რომლის მდგრადობა ირღვევა ბუნებრივი ზემოქმედებით, როგორც წესი უბრუნდება საწყისს. ტემპერატურისა და წნევის, ჰაერისა და ნიადაგის ტენია-ნობის ცვლილებები, მცენარეული საფარის ბიომასის სეზონური ცვლილება, რომლებიც მერყეობენ რაღაც საშუალო მნიშვნელობის ირგვლივ, წარმოადგენენ ბუნებრივი ზემოქმედების მაგალითებს. ბიოსფეროს დამახასიათებელი აღნიშნული საშუალო მნიშვნელობების მერყეობა არსებითად ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობს. ხოლო ანთროპოგენური ზემოქმედებით ბიოსფეროს ცვლილება გაცილებით სწრაფად ხდება. ეკოსისტემების ანთროპოგენური დაბინძურების შესწავლისას აქტუალურ

ამოცანას წარმოადგენს ეკოლოგიური რეზერვებისა და ბუნებრივი რესურსების იმ რაოდენობის დადგენა, რომლის გამოყენების შემთხვევაში გარემოში ცვლილებები არ განხორციელდება.

ანთროპოგენური დაბინძურების პრობლემებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ მოცემულ გარემოზე ნებისმიერი სისტემის მორგება მისი მდგრადად არსებობის მიზნით, მიიღწევა იმ სისტემის ორგანიზმების განსაზღვრულ დონეზე. დასაშვები ეკოლოგიური დატვირთვის დადგენის ძირითადი კრიტერიუმებია: სისტემის სტაბილურობისა და პროდუქტიულობის შემცირების არსებობა, ეკოსისტემებიდან ისეთი ცალკეული ორგანიზმის განდევნა, რომელიც ამ შემთხვევაში არ წარმოადგენს კრიტიკულს. ასეთივე მიდგომა შესაძლოა გამოყენებულ იქნას თანასაზოგადოებებსა და ბიოგეოცენოზებზე დასაშვები დატვირთვის განსაზღვრისას.

ზარალის შემცირების ან თავიდან აცილების მიზნით ანთროპოგენური ზემოქმედების ნეგატიური შედეგების შესწავლა და მათი შეფასება არსებითად მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. სქემაში (გვ.) მოყვანილია ბიოსფეროს ძირითადი ანთროპოგენური ზემოქმედების ფაქტორები. თითოეული ფაქტორის გავლენა იწვევს სხვადასხვა შედეგს. მოსალოდნელი ეფექტები ნაჩვენებია II-IV სვეტებში. აღსანიშნავია, რომ II და IV სვეტებში მოყვანილ მონაცემებს უნარი შესწევთ თვითონვე გამოიწვიონ შედეგთა ჯაჭვები, რის გამოც ისინი გადაიქცევიან ზემოქმედების ანთროპოგენურ ფაქტორებად.

ბიოსფეროს ძირითად ანთროპოგენურ ფაქტორთა ზემოქმედების შედეგების სქემა

I. ანთროპოგენური ზემოქმედების ფაქტორები	II. ბიოსფეროს ძირითადი ელემენტების ცვლილებების მახასიათებლები	III. გეოფიზიკური და გეოქიმიური შედეგები	IV. ეკოლოგიური და ბიოლოგიური შედეგები, ეკოსისტემების რღვევები
1. ბიოსფეროში ფიზიკურ-ქიმიური აქტიური ნივთიერებების გაზრდა.	1. ატმოსფეროს მახასიათებლებისა და შემადგენლობის ცვლილება.	1. ატმოსფეროსა და ოკეანეებში დიდ მასშტაბიანი ცვლილებები.	1. ნიადაგისა და წყლის ეკოსისტემების ცვალება-დობა, მათი მდგრადობის ცვლილება.
2. ბიოსფეროში ინერტული ნივთიერებების	2. ბუნებრივი წყალ-სატევებისა და მდინარეების თვისებების ცვლილება.	2. კლიმატის ცვლილება.	2. ოკეანეთა ეკოსისტემების სტრუქტურული გამარტივება.
		3. არაბიოლოგიური რესურსების -კლიმატის,	3. გენეტიკური ეფექტები.
			4. არსებული სახეობების

გაზნევა. 3. ბიოსფეროს პირდაპირი გაცხელება. 4. მცენარეული საფარის ცვლილების გამომწვევი ფიზიკური ზემოქმედება. 5. ბიოლოგიური ზემოქმედება. 6. რესურსების განადგურება. 7. სატრანსპორტო მატარებლების ანთროპოგენური გამარტივება.	3. ოკეანეების შემადგენლობებისა და მახასიათებლების ცვლილება. 4. ბიოტების, როგორც ბიოგეოფიზიკური გარემოს შემადგენ-ლობის ცვალებადობა. 5. ლითოსფეროს ცვლილება. 6. კრიოსფეროს ცვლილება. 7. ხმელეთის ზედა-პირისა და ნიადაგის თვისებების ცვლა, მსხვილ სისტემათა გეოფიზიკური თვისებების ცვლა.	წყლის გადანაწილება. 4. იონოსფეროს ოზონური ფენის რღვევა. 5. ატმოსფეროს გამჭვირვალობის ცვლილება მზის რადიაციის გავლისუნარიანობის მიმართ. 6. ხმელეთის ეროზია. 7. ბუნებრივი გეოქიმიური ციკლების დარღვევა.	გაქრობა, ახალი სახეობების წარმოშობა. 5. ბიოპროდუქტიულობის დაცემა, გამრავლების კოეფიციენტისა და პოპულაციათა რიცხვის შემცირება, ტყეების დეგრადაცია, გაცარიელება. 6. ნიადაგის დეგრადაცია, გამოფიტვა. 7. ბიოსფეროს თვისებების ალდგენადი რესურსების ალდგენის მექა-ნიზმის მოშლა, ბიოს-ფეროს ეკოლუციის ხასიათის ცვლილება
--	---	---	--

ეჭვგარეშეა, რომ ზემოქმედების ფაქტორებს ახასიათებთ ურთიერთგამაძლიერებელი ეფექტებიც.

აქედან სერიოზული პრობლემები შეიძლება დაკავშირებული იყოს ანთროპოგენურ ზემოქმედებასთან, რომლებიც ხასიათდება: 1. წარმო-ჩენილი ეფექტებისა და ცვლილებების მასშტაბურობით; 2. მოსალოდ-ნელი შედეგების ინერციულობის მნიშვნელობით; 3. ნეგატიური შედე-გების სიმწვავეთ. ასეთ კატეგორიებად დაყოფა პირობითია იმიტომ, რომ მრავალი მასშტაბური ეფექტი შეიძლება ეკუთვნოდეს ერთდროუ-ლად რამდენიმე კატეგორიას.

ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგებიდან გამომდინარე, გლობა-ლური ეკოლოგიური პრობლემებიდან აღსანიშნავია კლიმატის ცვლი-ლება, ოზონის ფენის დარღვევა, ოკეანეების დაბინძურება, ატმოსფე-როს ელექტრული თვისებების ცვალებადობა და ყველაზე მთავარი – მაიონიზებული გამოსხივების პრობლემა, რომელსაც შეუძლია გამოიწ-ვიოს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ანომალიები ერთად ან ცალ-ცალკე.

სამეცნიერო ლიტერატურაში ჭარბადაა განსხვავებული, მათ შორის პესიმისტური ხასიათის მქონე პროგნოზები ბიოსფეროს მოსა-ლოდნელი ცვლილებების შესახებ, რაც ანთროპოგენური ფაქტორების მოქმედების შედეგს

წარმოადგენს.

მოსალოდნელ ეკოლოგიურ კატასტროფებს ეძღვნება ნაშრომების მთელი რიგი [45]. დასახელებული მეცნიერები მიუთითებენ ბიოსფეროზე ნეგატიური შედეგების მქონე ანთროპოგენური ფაქტორების ტენდენციაზე [46].

გარემოს ანთროპოგენური დაბინძურების თავიდან ასაცილებლად მიწათმოქმედების ზეგავლენით საჭიროა სწორი ეკოლოგიური პოლი-ტიკის გატარება. ეს გულისხმობს იმ ღონისძიებებს, რომლებიც საჭიროა ისეთი გარემოს შესაქმნელად, სადაც ადამიანი ჯანმრთელი იქნება. გატარებულმა ღონისძიებებმა უნდა დაიცვას მცენარეთა და ცხოველთა სამყარო, წყალი, ჰაერი და ნიადაგები მიწათმოქმედების უარყოფითი ზემოქმედებისაგან და ამით ააცილონ გარემო დაბინძურებისაგან.

1.3 გარემოს დაბინძურება მძიმე ლითონებით

გარემოს დაბინძურებაში გარდა რადიონუკლიდებისა, უდიდესი წილი მრეწველობასა და ტრანსპორტზე მოდის. ცნობილია, რომ პლა-ნეტაზე 2,4 მილიარდი ტონა ქვანახშირი მოიხმარება, რის შედეგადაც დედამიწაზე ყოველდღიურად გაიბნევა 280 ათასი ტონა დარიშხანი, 224 ათასი ტონა ურანი. ამავე დროს აღსანიშნავია ისიც, რომ ზემოთ დასახელებული ორი ნივთიერება არაა მხოლოდ თანამედროვე გარემოს დაბინძურების გამომწვევი, არამედ მათთან ერთად გამოიფრქვევა სხვა ნივთიერებებიც: სპილენძი-150, თუთია-120, ტყვია-90, ნიკელი-12, მოლიბ-დენი-1,5, კობალტი-0,8, ვერცხლისწყალი-0,03, 200 მილიონი ტონა ნახ-შირორჟანგი, 150 მილიონი ტონა გოგირდის ჟანგი, 50 მილიონი ტონა აზოტის ჟანგი და სხვა. ასევე, ცნობილია, რომ ყოველწლიურად ყოველ ერთ ჰექტარზე ნალექებით საშუალოდ შემოიტანება (კგ.) ქლორი-40, მაგნიუმი-17, კალციუმი-12, ნატრიუმი-5, კალიუმი-4, აზოტი-10 [47].

ბიოსფეროს გაჭუჭყიანებაზე ერთ-ერთ ძირითად წყაროდ მიჩნეულია ავტოტრანსპორტი. ბიოსფეროს გაჭუჭყიანებაზე ავტორები [48,49] მიაწინებენ, რომ ქიმიური ნივთიერებები რომლებიც ბრუნვაში ხვდებიან ადამიანის სამეურნეო საქმიანობით, გარემოსათვის საფრთხეს წარმოადგენენ [50,51].

ცნობილია, რომ ხვედრითი წონის მიხედვით ყველა ლითონი პირობითად იყოფა ორ დიდ ჯგუფად: მსუბუქი, რომელთა ხვედრითი წონა არ აღემატება 5

გრ/სმ და სხვა დანარჩენი [52,53].

გარემოს სტრესული მდგომარეობის ინდიკატორებია ე.წ. ნივთი-ერებების კრიტიკული ჯგუფები: ვერცხლისწყალი, ტყვია, კადმიუმი, დარიშხანი, სელენი და ფტორი. მათ შორის განსაკუთრებით საშიშია პირველი სამი ელემენტი.

ნიადაგის გაჭუჭყიანებას მძიმე ლითონებით სხვადასხვა წყარო გააჩნია:

1. მრეწველობის გამონატყორცნი [54];
2. საწვავის წვის პროდუქტები;
3. ავტომანქანების გამონაბოლქვი აირები [55];
4. სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის საშუალებები და სხვა [56].

გამონაბოლქვ აირებთან ერთად ნიადაგის ზედაპირზე წელიწადში ხვდება ტყვიის 250 ათას ტონაზე მეტი [57]. ასევე ტყვია ფართოდ გამოიყოფა ჰაერში ქარხნებიდან, შემდეგ ადამიანის ორგანიზმში ხვდება სასუნთქი გზით, სასმელი წყლითა და მცენარეული და ცხოველური პროდუქტებით [58]. ასევე ავტორები მიაჩნებენ იმაზეც, რომ ტყვიით მოწამვლა იწვევს ორგანიზმის ჩქარ დაღლას, სისხლნაკლებობას, გულის არეში ტკივილებს, ირღვევა ტვინის, ღვიძლის და თირკმელების ფუნქციები [59].

ცნობილია ისიც, რომ ავტომაგისტრალების მიმდებარე სავარგულ-ლებში, გზიდან 60-90 მეტრის მანძილზე ტყვიის შემცველობა (600-700) 10%-ია, რაც ბევრად აღემატება ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას, ხოლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაში 40-50-ჯერ მეტი. ეთილი-რეზული ბენზინის გამოყენების სფეროში დასაქმებულ ადამიანთა სისხლში ტყვიის შემცველობა $329,00+1,73$ მკგ/ლ ნაცვლად $143,00+0,72$ მკგ/ლ-ის [60].

გაჭუჭყიანებული ატმოსფერული ჰაერის გაწმენდაში უდიდესია თვით მცენარის როლი. აკადემიკოს დურმიშიძის ხელმძღვანელობით შესწავლილია ბიოსფეროში არსებული მავნე ნივთიერებების მცენარის მიერ შთანთქმ-გარდაქმნის პროცესი [61]. «მწვანე ფილტვის» ეფექტი-ანობა დამოკიდებულია თვით სახეობრივ შედგენილობაზე, რადგან უცხო ნაერთების შთანთქმის უნარის მიხედვით ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან [62]. მაგალითად, არომატულუ ნახშირ წყალბადები, დიდი რაოდენობით გამოიყოფა ატმოსფეროში ავტომანქანების გამონა-ბოლქვ გაზებთან ერთად. შთანთქმით გამოირჩევა ნეკერჩხალი, იგი ასჯერ მეტ ნახშირწყალბადს შთანთქავს, ვიდრე თელა ან

იფანი, ათასჯერ მეტს, ვიდრე თუთა და ნაძვი [63].

მეცნიერთა კვლევებით ასევე დადგენილია, რომ კონცეროგენურ ნივთიერებებს (კიბოს წარმომქმნელი) მცენარეები შთანთქავენ გარე-მოდან და სხვა ნაერთებად გარდაქმნიან. ზემოაღნიშნული შეიმჩნევა გზატკეცილების გასწვრივ გაშენებულ მცენარეებში. მათი ფოთლები და ნაყოფები ყოველთვის შეიცავს კონცეროგენურ ნახშირწყალბადებს [64], რეკომენდაციებიც შესაბამისია, ვერიდოთ გზატკეცილების განა-პირა ზოლში ხეხილოვანი კულტურების გაშენებას [65].

ადამიანისათვის საშიში შემდეგი მძიმე ლითონებია: კადმიუმი, თუთია, ტყვია, დარიშხანი, ვერცხლისწყალი, სპილენძი, ნიკელი, ქრომი, ალუმინი და სხვა.

ტყვია (Pb) – ბუნებაში ყველაზე გავრცელებული ტოქსიკანტია და მისი ბენზინში შემცველობის 75%-ს გამონაბოლქვის სახით გამოყოფს ავტოტრანსპორტი. ჰაერიდან იგი ხვდება ნიადაგში და იქიდან მცენარეში. ადამიანის ორგანიზმში ხვდება სასუნთქი გზით, სასმელი წყლით. ტყვიის რაოდენობა, რომელიც უდრის საკვების მშრალი წონის 100 მგ/კგ, ითვლება ცხოველებისათვის ლეტალურ დოზად. ტყვიის ბიო-ლოგიური ნახევარდაშლის პერიოდი დიდია და შეადგენს რამდენიმე წელიწადს. ნიადაგიდან ტყვია ხვდება მცენარეებში და იქ გროვდება. სასოფლო-სამეურნეო კულტურები, რომლებიც მოყვანილია საავტომობილო გზების გასწვრივ ათასჯერ მეტი რაოდენობით შეიცავენ ტყვიას.

კადმიუმი (Cd) – ატმოსფეროში ხვდება საწვავის წვის, ავტომანქანების საბურავების ცვეთის და ქიმიური წარმოების მეშვეობით [66]. მიკროდოზებში კადმიუმი საჭიროა ადამიანისათვის (ის არეგულირებს სისხლში შაქრის შემცველობას), მაგრამ გადიდებულ კონცენტრაციებში ნებისმიერ მდგომარეობაში კადმიუმი ძლიერ ტოქსიკურია. ის იწვევს ძვლების მტვრევადობას, ზრდის სისხლის წნევას, გააჩნია კონცეროგენური თვისებები, გროვდება თირკმელებსა და ღვიძლში.

თუთია (Zn) – ყველაზე ტოქსიკურია მცენარეებისათვის სხვა ლითონებთან შედარებით [67]. თუთიის რაოდენობა ნიადაგში იზრდება მჟავიანობის გაზრდასთან ერთად, კარბონატულ ნიადაგებში კი ხშირია მისი ნაკლებობა და 2

მგ/კგ-ზე ნაკლები რაოდენობით შემცველობისას იგი ითვლება ღარიბად.

დარიშხანი (As) – წარმოადგენს სამრეწველო გადამუშავებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენების ნარჩენს. ყველაზე მეტი რაოდენობით, დარიშხანი, გვხვდება ზღვის წყალში და თევზებში. ამიტომ ადამიანის რაციონში ზღვის პროდუქტების გაზრდა იწვევს მის მოხვედრას ორგანიზმში.

სპილენძი (Cu) – ნაკლებად ტოქსიკურია, ვიდრე ზემოთ ჩამოთვლილი მძიმე ლითონები, მაგრამ მეტალურგიული წარმოების ნარჩენებში მათი ჭარბი რაოდენობა აბინძურებს ნიადაგს და ამცირებს მცენარეების მოსავალს.

საჭიროა აღინიშნოს ნიადაგებსა და ცოცხალ ორგანიზმებზე მძიმე ლითონების ტოქსიკურობის გაძლიერება მათი ერთობლივი ზემოქმედების შემთხვევაში. თუთიისა და კადმიუმის ან სპილენძისა და კადმი-უმის ერთობლივი ზემოქმედება იწვევს მიკროორგანიზმებზე რამდენიმე-ჯერ უფრო ძლიერ ინგიბირულ მოქმედებას, ვიდრე აღნიშნული ელემენტები იმავე კონცენტრაციით ცალ-ცალკე მოქმედებენ.

საერთოდ ყველა მძიმე ლითონის შესახებ ზოგადი მონაცემები სხვადასხვა ლიტერატურულ წყაროებში არსებობს. გ. გალიბინისა და ი. ნოვიკოვის (1976წ.) მონაცემებს თუ დავყრდნობით, ავტოტრანს-სპორტის გამონაბოლქვი აირების შემადგენლობა ასეთია: აზოტი – 74-77%, ჟანგბადი – 0,3-8,0%, წყის ორთქლი – 3,0-5,5%, ნახშირორჟანგი – 5,0-12,0%, ნახშირჟანგი – 5,0-10,0%, აზოტის ჟანგი – 0,8%, ნახშირწყალ-ბადი – 0,2-3,0%, ალდეჰიდები – 0,04გრ., ბენზაპირენი – 10-20კგ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკვლევ ობიექტად აღებულია მცხეთის რაიონი. უნდა აღინიშნოს, რომ მცხეთის რაიონზე გადის ცენტრალური სატრანსპორტო და სარკინიგზო მაგისტრალები [68]. ავტო-მობილების გამონაბოლქვი აირებისაგან იქმნება ეკოლოგიური პრობ-ლემები და წარმოადგენენ დაბინძურების უმნიშვნელოვანეს წყაროს. მავნე ნივთიერებათა უდიდესი ნაწილი ატმოსფეროში საავტომობილო ძრავების გამომშვები სისტემიდან ხვდება. გარდა შიდა ტრანსპორტისა აქ ყოველდღიურად, ტრანზიტად გამავალი ტრანსპორტიც მოძრაობს [69].

ნიადაგში მძიმე ლითონების შემცველობა ხელს უშლის მიკროელემენტების მოძრავი ფორმებისა და საკვები ნივთიერებების შეღწევას მცენარეთა ფესვებში,

რაც მათ ტოქსიკურ დაბინძურებას იწვევს. აღსანიშნავია ისიც, რომ ატმოსფეროს ანთროპოგენურმა დაბინძურებამ საგ-რძნობი გავლენა იქონია დედამიწის რადიაციულ ბალანსზე, რაც გამო-იხატება ტემპერატურის თანდათანობითი მატებით. განსაკუთრებით საყურადღებოა ე.წ. სითბური ეფექტის მქონე გაზური მინარევები. მათი ანთროპოგენური წყაროები პირობითად იყოფა ხუთ სექტორად: ენერგეტიკული, სამრეწველო, სოფლის მეურნეობა, მიწათსარგებლობის ცვლა და მეტყვევების ნარჩენები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გარემოს დაბინძურება ადამი-ანის ჯანმრთელობისათვის მავნე ინგრედიენტებით, დღის წესრიგში აყენებს ისეთი საცხოვრებელი გარემოს შექმნას, სადაც გარე სამყაროს პარამეტრები ოპტიმალური იქნება და დიდ გავლენას იქონიებს ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე.

1.4 მცხეთის რაიონის ნიადაგურ – კლიმატური

პირობების დახასიათება

საკვლევი ობიექტის ნიადაგურ-კლიმატური დახასიათება ძირითადად ეხება მუხრან-საგურამოს ველს, ვინაიდან სასოფლო-სამეურნეო კულტურების განლაგების მიხედვით 85-95% აღნიშნულ ველზე მოდის.

მუხრან-საგურამოს ველი გეოგრაფიული კოორდინატებით მდებარეობს 41°56' განედსა და 44°45' გრძედზე, ზღვის დონიდან 550-553,3 მეტრ სიმაღლეზე. აღნიშნული ველის ნიადაგ-წარმოქმნის პრო-ცესში მნიშვნელოვანი როლი აქვს შესრულებული მდინარეებს: ქსანი, არაგვი და ნარეკვაი, რომლებიც სავარაუდოთ ოდესღაც ქმნიდნენ დიდ აუზს ან ტბას, სადაც ეს მდინარეები მტკვართანერთად შეედინებოდნენ და გაედინებოდნენ კიდეც.

ამ ზონის ნიადაგებს სხვადასხვა ავტორი სხვადასხვა ტიპს აკუთ-ვნებენ, თუმცა საერთო აზრით მცხეთის რაიონის ტერიტორიაზე ძირითადად ტყის ყავისფერი ნიადაგებია [70]. აგროქიმიური საშუალო მაჩვენებლებით ეს ნიადაგები ასეთი შემადგენლობისაა: აქტუალური მჟავია-ნობა (წყლის გამონაწერი) 7,25; კარბონატების ჯამი 1,6%; საერთო ჰუმუსი 1,6%; ჰიდროლიზური აზოტი 4-5 მლ/გრ 100გრ. ნიადაგში; ადვი-ლადხსნადი ფოსფორი

3,1-3,8 მლ/გრ 100გრ. ნიადაგში; შითანთთქმული კალიუმი 28-30,4 მლ/გრ 100გრ. ნიადაგში; შითანთქმულ ფუძეთა ჯამი მილიექვივალენტობით 100გრ. ნიადაგში 27-30 და ჰიგროსკოპული წყალი 3,1-4,5% [71].


ნიადაგის თვისებებიდან აღსანიშნავია ხვედრითი წონა 2,5; მოცულობითი წონა 1,12 და ფორიანობა 45-54. მექანიკური შედგენილობით: ფრაქცია 1,0-2,5მმ 5%; 0,25-0,05მმ 30%; 0,05- 0,01მმ 16%; 0,01-0,005მმ 7-11%; 0,001-ზე ნაკლები 20-24% და ფიზიკური თიხა 46-52%.

მცხეთის რაიონის მიწათმოქმედების ზონებში ჰავა კონტინენ-ტალურია. დ. უკლება და გ. მელაძე ამ რაიონის კლიმატს ტყე-ველის კატეგორიათა ჰავას აკუთვნებენ [72,73], ხოლო შ. ჯავახიშვილი ხმელ-თაშუა ზღვის მსგავს ჰავად მიიჩნევს [74]. ნალექების წლიური ჯამი აქ საშუალოდ 420,5 მილიმეტრია წელიწადში, ხოლო ნალექებიან დღეთა რაოდენობა საშუალოდ 154-ია. ნალექიან დღეთა რაოდენობა ძირითა-დად მოდის მაის-ივნისში და მკვეთრად ეცემა ზაფხულში, განსაკუთრებ-ბით აგვისტოში. ხშირად ნალექი (წვიმა) მოდის თქემის სახით და ადგილი აქვს სეტყვასაც. მუხრან-საგურამოს, დიდმის, გლდანის ტერი-ტორიებზე ქარიანი დღეების რაოდენობა საშუალოდ 120-125-ია და მისი მრავალწლიანი საშუალო სიჩქარე 3,6 მ/წმ-შია. ქარიან დღეთა რაოდენობა უმეტესად ზამთარსა და ზაფხულის შუა პერიოდებშია, რის შედეგადაც ხშირია სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზიანება და ნიადაგის ზედა ფენის ახვეტაც. ჰაერის საშუალო მრავალწლიური ტემპერატურა 10,6⁰-ია, ზაფხულის თვეებში 22-23⁰-ს და ცალკეულ დეკადებში 37,5⁰-საც აღწევს.

აკადემიკოსი ნ. კეცხოველი აღნიშნავს, რომ ეს ტერიტორიები შო-რეულ წარსულში დაფარული ყოფილა ჭალის ტიპის ტყეებით, ადამი-ანის ჩარევამ ადგილობრივ ფლორას სახე შეუცვალა და დღეს ბაღ-ვენახები და ბოსტნეულის ნათესებია ძირითადად [75]. რაიონის სასოფ-ლო-სამეურნეო ფართობებზე პროფესორი ლ. მარუაშვილის მონაცემე-ბით 200 სახეობის სარეველა მცენარეებია წარმოდგენილი: წანგა, თეთრი ნარი, შალაფა, ლელი და სხვა [76].

აგროეკოლოგიური თვისებების თვალსაზრისით რაიონის ტერიტო-რია რთულ რეგიონს წარმოადგენს. მდინარეების: მტკვარი, არაგვი, ქსანი, გლდანულა, ნარეკვაი და მისი შენაერთები სერავს მთელ რეგიონს. რელიეფის სიჭრელე და ასევე ქარების მიმართულება და ღვარცოფების სისწრაფე ადვილად ანაწილებს

მავნე აირებსა და ნაერთებს სახნავ ფართობებზე, თუ ამას დავუმატებთ კულტურათა ფართო ასორტიმენტს, შეიძლება დავასკვნათ, რომ რაიონი რთული ეკოლოგიური პოტენციალის მქონე რეგიონია და ამ კუთხით მიზ-ნობრივი კვლევების ჩატარება დროული და აუცილებელია.



თავი 2. მცხეთის რაიონის ცენტრალურ და შიდა გზებზე ავტოტრანსპორტის ინტენსივობა

მცხეთის რაიონი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით რთული სატრანზიტო კვანძია. აღნიშნული რაიონი დაქსელილია როგორც ცენტრალური, ისე შიდა საავტომობილო გზებით. რაიონის ტერიტო-რიაზე გამოკვეთილია სამი ცენტრალური ავტომაგისტრალი:

1. თბილისი-ნატახტარი-ქსანი სიგრძით 23 კმ, ანუ რაიონის საერთო გზების 13,5%;
2. ნატახტარი-დუშეთის მონაკვეთი სიგრძით-19კმ, რაც მთელი გზების 11%-ს შეადგენს;
3. ჯვარი-ზაჰესი-გლდანის მიმართულებით, სიგრძით 18კმ, ანუ 10,5%.

შიდა გზებიდან საშუალო დატვირთვის გზატკეცილებია:

4. თბილისი-ნიჩბისი 27კმ – 15,7%;
5. თბილისი-გლდანი-ცხვარიჭამია 16კმ – 9,4%;
6. მცხეთა-ნარეკვავის მონაკვეთი 7კმ – 4,1%;

ხოლო სუსტი დატვირთვის მონაკვეთებია:

7. საგურამო-ცხვარიჭამია 8კმ – 4,7%-ია;
8. წიწამური-გალავანის მონაკვეთი 20კმ – 11,7%;
9. მუხრანი-ახალგორი 10კმ – 5,9%-ია;
10. მუხრანი-წილკანი-ნატახტარი 15კმ – 8,8%-ია;
11. თბილისი-სოფელი დილომი 8კმ – 4,7%-ია (ცხრილი 2.1 გვ. 29).

აღნიშნული მონაკვეთებიდან როგორც ცენტრალური, ისე შიდა გზების მცირე ნაწილი არის კარგი გზის საფარი, ხოლო მეტი წილი გზებისა საშუალო და ცუდი საფარით არის გამოხატული.

საკვლევო ობიექტის ცენტრალური და შიდა გზების საერთო სიგრძე 171 კმ-ია. მათ შორის მდინარეების სანაპირო ზოლი 24კმ-ია; სამოვარი 49კმ-ია; მჭიდროთ და სუსტად დასახლებული მონაკვეთების საერთო სიგრძე 41კმ-ია, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სავარ-გულები 57კმ-ია (ცხრილი 2.2 გვ. 30).

მცხეთის რაიონის ცენტრალური და შიდა

გზების სტრუქტურა

ცხრილი 2.1

	გზის მონაკვეთი	მანძილი		გზის დატვირთვა	გზის საფარი
		კმ.	%		
1.	თბილისი-ნატახტარი-ქსანი	23	13,5	ძლიერი	კარგი
2.	ნატახტარი-დუმეთი	19	11,1	ძლიერი	კარგი
3.	ჯვარი-გლდანი	18	10,5	საშუალო	ცუდი
4.	თბილისი-ნიჩბისი	27	15,7	საშუალო	ცუდი
5.	საგურამო-ცხვარიჭამია	8	4,7	სუსტი	ცუდი
6.	წიწამური-გალავანი	20	11,7	სუსტი	საშუალო
7.	თბილისი-გლდანი-ცხვარიჭამია	16	9,4	საშუალო	ცუდი
8.	მცხეთა-ნარეკვაი	7	4,1	საშუალო	კარგი
9.	მუხრანი-ახალგორი	10	5,9	სუსტი	საშუალო
10.	მუხრანი-წილკანი-ნატახტარი	15	8,8	სუსტი	ცუდი
11.	თბილისი-სოფელი დილომი	8	4,7	სუსტი	საშუალო
ჯამი		171			

მცხეთის რაიონის ცენტრალური და შიდა გზების მიმდებარე ტერიტორიების აღწერა

ცხრილი 2.2

	გზის მონაკვეთი	მანძილი კმ.	მდინარის სანაპირო ზოლი, კმ.	საძოვარი, კმ.	დასახლებული პუნქტი, კმ.	სას. სამ. სავარგულები, კმ.
12.	თბილისი-ნატახტარი-ქსანი	23	5	4	4	10
13.	ნატახტარი-დუმეთი	19	-	2	6	11
14.	ჯვარი-გლდანი	18	1	11	4	2
15.	თბილისი-ნიჭბისი	27	14	6	4	3
16.	საგურამო-ცხვარიჭამია	8	-	6	1	1
17.	წიწამური-გალავანი	20	-	4	3	13
18.	თბილისი-გლდანი-ცხვარიჭამია	16	2	10	2	2
19.	მცხეთა-ნარეკვავი	7	2	-	5	-
20.	მუხრანი-ახალგორი	10	-	3	2	5
21.	მუხრანი-წილკანი-ნატახტარი	15	-	2	4	9
22.	თბილისი-სოფელი დიღომი	8	-	1	6	1
	ჯამი	171	24	49	41	57

ჩვენს მიერ შესწავლილ ავტომაგისტრალზე ჩატარებულია აღრიცხვები დილის და საღამოს საათებში. ცხრილ 2.3-ში მოტანილია 1998-2000-2002 წლების მონაცემები ცენტრალურ და შიდა გზებზე ავტოტრანსპორტის აღივსვის მაჩვენებლები:

თბილისი-ნატახტარი-ქსანის მიმართულებით ავტოტრანსპორტის ყველა სახეობის საერთო რაოდენობამ ერთი წლის მანძილზე შეადგინა 38040 ერთეული, მათ შორის 57,4% მსუბუქი ტიპის ავტოტრანსპორტი, რომელიც ყოველ 100 კმ-ზე ხარჯავს საშუალოდ 8 ± 2 ლიტრ საწვავს. 3,9% აღირიცხა მსუბუქი ტიპის ავტოტრანსპორტი, რომელიც ყოველ 100 კმ-ზე ხარჯავს 16 ± 2 ლიტრ საწვავს. 12,7% იყო მძიმე ავტოტრანსპორტი, რომლებიც ყოველ 100 კმ-ზე ხარჯავს 25 ± 2 ლიტრ საწვავს. ხოლო ამ მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობის საერთო რაოდენობიდან 26% აღირიცხა ზემდომე ტრანსპორტის რაოდენობა, რომლებიც ყოველ 100 კმ-ზე მოიხმარენ 35 ± 2 ლიტრ საწვავს.

ნატახტარი-დუშეთის ავტომაგისტრალზე ერთი წლის მანძილზე მოძრაობს 29340 ერთეული ავტომობილი, საიდანაც მსუბუქი ტიპის ავტოტრანსპორტმა შეადგინა 35,6%. მეორე ტიპის მსუბუქი ავტოტრანსპორტი აღმოჩნდა 24,5%. მძიმე ავტოტრანსპორტი იყო საერთო რაოდენობის 12,9%. ხოლო ზემდომე ტვირთმზიდების საერთო რაოდენობამ მიაღწია 27%-ს.

მესამე ცენტრალურ ავტომაგისტრალზე ჯვარი-ზაჰესი-გლდანის მონაკვეთზე ერთ წელიწადში მოძრაობს 6870 ერთეული. პირველი ტიპის მსუბუქი მანქანების რაოდენობამ შეადგინა 18,3%; მეორე ტიპის მსუბუქი ავტომანქანების რაოდენობამ 7,8%; დიდი ტვირთ-მზიდების ავტოტრანსპორტი აღმოჩნდა საერთო რაოდენობის 10,5%; ხოლო ძალიან დიდი ტვირთმზიდების რაოდენობა იყო მთელი რეგისტრირებული ავტოტრანსპორტის 63,4%.

თბილისი-ნიჩბისის მიმართულებით ერთ წელიწადში მოძრაობს 5760 ერთეული. მათ შორის პირველი ტიპის მსუბუქი ავტოტრანსპორტია 25%; მეორე ტიპის ავტოტრანსპორტი ასევე 25%; დიდი ტრანსპორტის რაოდენობა 6,2%; რაც შეეხება ძალიან დიდი ტვირთ-მზიდების რაოდენობამ ამ მონაკვეთზე შეადგინა საერთო რაოდენობის 43,8%.

საგურამო-ცხვარიჭამიის მიმართულებით ერთ წელიწადში მოძრაობს 1080

